


საქართველოს ეკონომიკური კლიმატი

(IV კვარტალი, 2022)

მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ



„საქართველოს ეკონომიკური კლიმატი“ პიემსი კვლევითი ცენტრის (PMC RC) პროდუქტია.

ამ ბიულეტენში, რომელიც Ifo ინსტიტუტის მეთოდოლოგიას ეყრდნობა, განხილულია საქართველოს ეკონომიკური კლიმატი ქართველ ეკონომისტთა შეფასებით.

პროექტში საქართველოდან 60 ექსპერტი მონაწილეობს. კვლევა ჩატარდა 2022 წლის ნოემბერში.

2022 წლის მეოთხე კვარტალში ჩატარებული ქართველი ეკონომისტების გამოკითხვის **მთავარი მიგნებებია**:

- ❑ ქართველი ეკონომისტები **პოზიტიურად** აფასებენ საქართველოს **მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობას**.
- ❑ თუმცა მათი მოლოდინი საქართველოში **მომდევნო ექვსი თვის ეკონომიკურ მდგომარეობასთან** დაკავშირებით **უარყოფითია**.
- ❑ 2022 წლის რეალური მშპ-ს ზრდის პროგნოზი, საშუალოდ **9.5%-ს** შეადგენს.
- ❑ ეკონომისტების მოლოდინია რომ მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში ინფლაცია შემცირდება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.
- ❑ გამოკითხულ ეკონომისტთა თითქმის 90% ფიქრობს რომ მაღალი ინფლაცია საქართველოს ეკონომიკისთვის **ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს**.
- ❑ გამოკითხულ ეკონომისტთა 94% თვლის რომ **უფრო მკაცრი ფისკალური პოლიტიკა** მაღალი ინფლაციის საწინააღმდეგო სხვა ზომებთან შედარებით ყველაზე ეფექტური იქნება. ასევე, 89%-ს სჯერა უფრო მკაცრი მონეტარული პოლიტიკის ეფექტურობის.
- ❑ ქართველ ეკონომისტთა უმეტესობა (44%) ფიქრობს რომ **მოგების გადასახადის ესტონური მოდელი** ფინანსურ სექტორზეც უნდა გავრცელდეს 2023 წლიდან.
- ❑ რაც შეეხება საქართველოს მთავრობის 2023 წლის **სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით** განსაზღვრულ ძირითად პარამეტრებს:
 - 78% ფიქრობს რომ **სახელმწიფო ვალის მშპ-სთან შეფარდების 38.8%-ზე** განსაზღვრა რაციონალურია.
 - 70% ფიქრობს რომ **ბიუჯეტის დეფიციტის მშპ-სთან ფარდობის 2.9%-ზე** განსაზღვრა სწორია.
 - ნახევარზე ნაკლები (47%) ეთანხმება რომ **18.4 მილიარდი ლარის ოდენობის საგადასახადო შემოსავლები** ძალიან მაღალია და უფრო დაბალი უნდა იყოს.



საქართველოს ეკონომიკური კლიმატი, IV კვარტალი 2022



- ქართველი ეკონომისტების გამოკითხვის თანახმად, 2022 წლის მეოთხე კვარტალში ქართველი ეკონომისტები დადებითად აფასებენ საქართველოს მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობას. მათი შეფასება გაუმჯობესდა როგორც 2022 წლის მესამე კვარტალთან, ასევე 2021 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით.
- თუმცა გამოკითხული ეკონომისტების მოლოდინი საქართველოში მომდევნო ექვსი თვის ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით უარყოფითია. 2022 წლის მეოთხე კვარტალში მომდევნო ექვსი თვის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ მოლოდინი გაუარესდა იმ პოზიტიურ პროგნოზთან შედარებით, რომელიც ეკონომისტებს მომდევნო ექვსი თვის მიმართ ჰქონდათ როგორც 2022 წლის მესამე კვარტალში, ასევე 2021 წლის მეოთხე კვარტალში.



გარდა არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინის დაფიქსირებისა, გამოკითხულმა ექსპერტებმა გააკეთეს საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზი. გამოკითხვის შედეგების მიხედვით:

- ❑ რეალური მშპ-ს მოსალოდნელი ზრდის პროგნოზი 2022 წელს საშუალოდ 9.5%-ს შეადგენს.
- ❑ მომდევნო 6 თვის განმავლობაში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მოსალოდნელია ინფლაციის კლება.

ამუამად, ქართული ლარი:

- ❑ ნაკლებად არის შეფასებული აშშ დოლარისა და ევროს მიმართ; და
- ❑ უფრო მეტად არის შეფასებული რუსული რუბლისა და თურქული ლირას მიმართ.




გარდა არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინის დაფიქსირებისა, გამოკითხულმა ექსპერტებმა გააკეთეს საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზი. გამოკითხვის შედეგების მიხედვით:

- უახლოეს ექვს თვეში **მოსალოდნელია ექსპორტის მოცულობის ზრდა**, გასულ ექვს თვესთან შედარებით.
- უახლოეს ექვს თვეში **მოსალოდნელია იმპორტის მოცულობის ზრდა**, გასულ ექვს თვესთან შედარებით.
- მომდევნო ექვს თვეში, გასულ ექვს თვესთან შედარებით, მოსალოდნელია ექსპორტის მოცულობა უფრო ნაკლებად ზრდა, ვიდრე იმპორტისა, რაც გამოიწვევს **მოსალოდნელი სავაჭრო ბალანსის გაუარესებას**.



შეაფასეთ 0-დან (არ არის საფრთხე) 5-მდე (ძალიან მაღალი საფრთხე) რომელ გარემოებებს მიიჩნევთ ამჟამად საქართველოს ეკონომიკისთვის ყველაზე მაღალი საფრთხის შემცველად




გამოკითხვის ფარგლებში ეკონომისტებმა ასევე შეაფასეს საქართველოს ეკონომიკისთვის ამჟამად არსებული ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხეები.

- ❑ თითქმის 90% ფიქრობს, რომ მაღალი ინფლაცია ამჟამად მაღალ ან ძალიან მაღალ საფრთხეს უქმნის საქართველოს ეკონომიკას. დამატებით, უმრავლესობამ მაღალი საფრთხის შემცველ გარემოებებად დაასახელა უკრაინაში რუსეთის ომი (77%) და ცხოვრების ხარჯების ზრდა (72%).
- ❑ ამავდროულად, რესპონდენტთა 50% მიიჩნევს, რომ რუსეთის მოქალაქეების იმიგრაცია საქართველოში ამჟამად საქართველოს ეკონომიკისთვის მხოლოდ დაბალ ან ძალიან დაბალ საფრთხეს წარმოადგენს.
- ❑ ეკონომისტთა ნახევარზე მეტი (61%) ფიქრობს რომ შრომითი ემიგრაცია არის საქართველოს ეკონომიკისთვის მაღალი ან ძალიან დიდი მნიშვნელობის საფრთხე. საპირისპიროდ, 11% ფიქრობს, რომ შრომითი ემიგრაცია საერთოდ არ წარმოადგენს საფრთხეს საქართველოს ეკონომიკისთვის.



0-დან (სრულიად არაეფექტიანი) 5-მდე (ძალიან ეფექტიანი) სკალაზე შეაფასეთ, პოლიტიკის რომელი მიდგომა იქნება ყველაზე ეფექტური საქართველოში ინფლაციის დასაძლევად?



*წლიური ინფლაცია – გამოითვლება მიმდინარე თვის სამომხმარებლო ფასების ინდექსის (სფი) წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით პროცენტული ცვლილების სახით.


მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სამიზნე ინფლაცია 3%-ია, 2022 წლის ოქტომბერში წლიური ინფლაციის დონემ* 10.6%-ს მიაღწია. შესაბამისად, ეკონომისტებმა შეაფასეს, თუ რომელი ზომები იქნება ყველაზე ეფექტიანი საქართველოში ინფლაციის დასაძლევად.

- გამოკითხულ ეკონომისტთა 94% ფიქრობს, რომ **გამკაცრებულ ფისკალურ პოლიტიკას** ძალიან მაღალი, მაღალი ან სულ მცირე ზომიერი ეფექტიანობა მაინც ექნება საქართველოში ინფლაციის დაძლევაში. ანალოგიურად, 89%-ს სჯერა ინფლაციის დაძლევისთვის **გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის** ეფექტიანობისა.
- მეორე მხრივ, **ხელფასების კონტროლი** და **ფასების კონტროლი** შეფასდა როგორც ინფლაციის წინააღმდეგ არაეფექტიანი ან ძალიან დაბალი ეფექტიანობის მქონე ზომები. მხოლოდ 6% ფიქრობს, რომ ფასების კონტროლი შეიძლება იყოს მაღალ ეფექტიანი და არც ერთი რესპონდენტი არ მიიჩნევს ხელფასების კონტროლს ინფლაციის წინააღმდეგ მაღალი ეფექტიანობის მქონე ზომად.

- თითქმის 70% არ ეთანხმება მოსაზრებას რომ **დამატებითი ზომების მიღება არ არის საჭირო** და გეწონება, რომელიც იწვევს ინფლაციის მაღალ დონეს, დროთა განმავლობაში თავად დასტაბილურდება.



ეთანხმებით თუ არა რომ მოგების გადასახადის ესტონური მოდელი 2020 წლიდან ფინანსურ სექტორზე უნდა გავრცელდეს?



- ვეთანხმები, რომ მოგების გადასახადის ესტონური მოდელი უნდა გავრცელდეს საფინანსო სექტორზე 2023 წლიდან
- არ ვეთანხმები, რომ მოგების გადასახადის ესტონური მოდელი უნდა გავრცელდეს საფინანსო სექტორზე 2023 წლიდან, თუმცა ეს უნდა მოხდეს მოგვიანებით უახლოეს წლებში
- არ ვეთანხმები, რომ მოგების გადასახადის ესტონური მოდელი უნდა გავრცელდეს საფინანსო სექტორზე არც 2023 წლიდან, არც მოგვიანებით
- არ მაქვს გარკვეული მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით

საქართველოში 2018 წლიდან დანერგილი მოგების გადასახადის ესტონური მოდელი გულისხმობს, რომ თუ მოგებიდან მიღებული თანხა კომპანიაში რეინვესტირდება, ბიზნესი თავისუფლდება მოგების გადასახადისგან. ესტონური მოდელი ფინანსურ სექტორზე 2023 წლიდან უნდა გავრცელდეს, თუმცა საქართველოს მთავრობამ ახლახანს მიიღო გადაწყვეტილება რომ ესტონური მოდელი ფინანსურ სექტორზე არც 2023 წელს არ გავრცელდება*. შესაბამისად, გამოკითხვის ფარგლებში ეკონომისტებმა დააფიქსირეს მოსაზრებები ამ საკითხის შესახებ.

- უმეტესობა (44%) თანხმდება, რომ მოგების გადასახადის ესტონური მოდელი ფინანსურ სექტორზე 2023 წლიდან უნდა გავრცელდეს.
- ამის საპირისპიროდ, 22%, ფიქრობს, რომ მოგების გადასახადის ესტონური მოდელი საერთოდ არ უნდა გავრცელდეს ფინანსურ სექტორზე, ხოლო 11% ფიქრობს, რომ ეს არ უნდა მოხდეს 2023 წელს, მაგრამ საბოლოოდ, უახლოეს წლებში, ფინანსური სექტორმა უნდა ისარგებლოს მოგების გადასახადის ესტონური მოდელით.

* წყარო: <https://www.interpressnews.ge/ka/article/736938-irakli-garibashvili-bankebi-da-sapinanso-sektori-agar-gadadis-mogebis-gadasaxadis-ec-estonur-modelze-da-mattvis-shevinarchunebt-mogebis-gadasaxadis-arsebul-sistemas-gaumartlebelia-bankebs-amxela-mogeba-akvt>




1-დან (საერთოდ არ ვეთანხმები) 5-მდე (სრულიად ვეთანხმები) სკალაზე შეაფასეთ საქართველოს მთავრობის 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის* შესახებ შემდეგი განცხადებები ?

ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების 18.5 მილიარდი ლარის ოდენობით განსაზღვრა, რაც %-ულად მშპ-ს 23.2%-ია, ძალიან მაღალია და ნაკლები უნდა იყოს

ბიუჯეტის დეფიციტი 2.9%-ზე (%-ულად მშპ-სთან) განსაზღვრა, რაც ნაკლებია კანონით დადგენილ 3%-იან ზღვარზე, რაციონალურია

სახელმწიფო ვალის 38.8%-ზე (%-ულად მშპ-სთან) განსაზღვრა, რაც ნაკლებია კანონით დადგენილ 60%-იან ზღვარზე, რაციონალურია



- საერთოდ არ ვეთანხმები
- არ ვეთანხმები
- არ ვარ დარწმუნებული
- ვეთანხმები
- სრულიად ვეთანხმები

ეკონომისტებმა ასევე შეაფასეს საქართველოს მთავრობის 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული ძირითადი პარამეტრები.

- რესპონდენტთა უმრავლესობა (78%) ეთანხმება ან სრულიად ეთანხმება, რომ სახელმწიფო ვალის მშპ-სთან შეფარდების 38.8%-ზე განსაზღვრა (რაც ნაკლებია კანონით განსაზღვრულ ვალის მშპ-სთან შეფარდების მაქსიმალურ ზღვარზე - 60%-ზე) რაციონალურია.
- გამოკითხულ რესპონდენტთა უმეტესობა (70%) ასევე ფიქრობს, რომ ბიუჯეტის დეფიციტი 2.9%-ზე (რაც ნაკლებია კანონით განსაზღვრულ ბიუჯეტის დეფიციტის მაქსიმალურ 3%-იან ზღვარზე) რაციონალურია, თუმცა მნიშვნელოვანი წილი ამას არ ეთანხმება (12% არ ეთანხმება და 12% კატეგორიულად არ ეთანხმება), რომ ბიუჯეტის დეფიციტის 2.9%-ზე განსაზღვრა რაციონალურია.
- რაც შეეხება საგადასახადო შემოსავლებს, რესპონდენტთა თითქმის ნახევარი (47%) ფიქრობს რომ მთავრობის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული 18.5 მილიარდი, რაც მშპ-ს 23.2%-ია, ძალიან მაღალია და ნაკლები უნდა იყოს. საინტერესოა, რომ თითქმის 30% არ არის დარწმუნებული არის თუ არა ამ ოდენობის საგადასახადო შემოსავლები რაციონალური.

* საქართველოს მთავრობის 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://www.mof.ge/5477>



ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები საქართველოში

	2019	2020	2021	2022 Q1	2022 Q2	2022 Q3
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	17 470.7	15 842.9	18 700.1*	4 610.4*	5 999.7*	-
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4 696.2	4 255.7	5 015.3*	1 249.9*	1 626.5*	-
მშპ რეალური ზრდა (%)	5.0%	-6.8%	10.4%*	14.9%*	7.1%*	9.7%*
ინფლაცია	4.9%	5.2%	11.8%	13.2%	13.0%	11.3%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1 352.2	589.0	1 241.8	571.1*	351.8*	-
უმუშევრობის დონე (%)	17.6%	18.5%	20.6%	19.4%	18.1%	15.6%
საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	5 741	7 535	8 205	8 082	7 784	7 182
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	20.1%	19.7%	18.9%	-	-	-

* წინასწარი მონაცემები

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამომხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

Without prejudice to the general message of the first paragraph above, PMC Research Center does not guarantee that:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამონვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამონვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

გიორგი ხიშტოვანი

კვლევითი დირექტორი

g.khishtovani@pmcginternational.com

სოფო ბასილიძე

მკვლევარი

s.basilidze@pmcginternational.com

ანასტასია ჩხენკელი

უმცროსი მკვლევარი

a.chkhenkeli@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3
სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org